ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 29 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი N5.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 თებერვლის N24-2423047202 წერილი.

4. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ქ. ზუგდიდი **29 მარტი 2023 წელი**
12:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
მომხსენებელი: თემურ ჯიქია-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N5

ქ.ზუგდიდი **29 მარტი 2022 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 29 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, ჯონი ჯიქია, გიორგი კორტავა, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბესიკ ჭეჟია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბელა მოსია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **ეკატერინე კიფაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე; **თემურ ჯიქია**-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი; **კობა მორგოშია**-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე; ----------ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრატსტუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; ----------ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე; ----------ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ---------- .

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: თემურ ჯიქია-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423047202 მომართვა (რეგისტრაციის N12-252304727-25 16.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სამსახურის უფროსს თემურ ჯიქიას კომისიის წევრებს და კომისიაზე დამსწრეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ აღნიშნა: (მოხსენების პარალელურად მიმდინარეობს სამსახურის ანგარიშის პრეზენტაცია) წარმოგიდგენთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშს. სამსახურში არის სამი განყოფილება:

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილება;
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება;
არქიტექტურის განყოფილება.

სამსახურის მისია არის რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად პრობლემების იდენტიფიცირება; მონაცემების შეკრება-ანალიზი; ფინანსური რესურსის მოძიება და მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მორგებული სამუშაოების შესრულება.

რაც შეეხება შესაძლებლობებს- ძირითადი არის ფინანსური, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მცირე ფინანსების გამო გარკვეული სამუშაოების განხორციელებას ვერ ვახორციელებთ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა უწყებასთან სწორი მუშაობით მოვიძიოთ რესურსები. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, (ვიქნები კრიტიკული და რეალური) აქაც დიდი პრობლემის წინ დგას განსაკუთრებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება, კონკრეტულად, მსგავის ტიპის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ უშუალოდ პროექტების, ხარჯთაღრიცხვის მომზადება და ასევე შემოსული პროექტების სწორი ანალიზი და შესწავლა- საკმაოდ დეპიციტური პროფესიებია. აქაც გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას და იმ უხუცეს თანამშრომლებს, რომლებიც ამ განყოფილებაში მუშაობენ მინდა მადლობა გადავუხადო, ვინაიდან, ჩავთვალოთ რომ ეს განყოფილება და დიდწილად სამსახური ამ ადამიანების შრომაზე, კეთილსინდისიერებაზე არის თავიდან ბოლომდე აწყობილი.

რა ძირითადი პრობლემა გვაქვს-ჩვენი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ინჟინრებს, ვისაც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შეუძლია, ვერ ვუწევთ კონკურენციას კერძო სექტორთან შედარებით. რა იგულისხმება კონკურენციის გაწევაში მაგალითად, თუ ჩვენ შეგვიძლია ამ ადამიანებს შევთავაზოთ ანაზღაურება მაქსიმუმ 1500 ლარამდე, როცა კერძო სექტორი 2-ჯერ, ზოგ შემთხვევაში 3-ჯერ მეტ ხელფასს სთავაზობს. შესაბამის უწყებებთან მაქსიმალურად ვაყენებთ საკითხს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რომ საჭირო არის ვიწრო სფეროს სპეციალისტები, რომლებიც დღეს ძალიან დეფიციტური არის, ამ მიმართულებით, თუნდაც სახელფასო კუთხეც გადაიხედოს, ან დანამტები გაკეთდეს, ან ისეთი მექანიზმი მოვიფიქროთ, თორემ, როცა ახლა მომუშავე თანამშრომელები (განყოფილებაში მუშაობს 6 თანამშრომელი), რომლებიც როგორც აღვნიშნე

ასაკოვნები არიან, გადაწყვეტენ და პენსიაზე გავლენ, განყოფილება დიდი პრობლემის წინაშე დადგება.

რაც შეეხება საკანონმდებლო საკითხს- ამ მიმართულებით ბევრი რამე დაიხვეწა და გასწორდა, გასაკუთრებით ჩვენ სამსახურს ბევრ რამეში ხელ-ფეხი შეეხსნა, რაც უკვე ქალაქის გენ-გეგმა დამტკიცდა, თუმცა აქაც არის გარკვეული ხარვეზები. ასევე რასაც მინდა შევეხო არის საკანონმდებლო ნაწილში ეს არის მაგალითისთვის, სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრის საკითხში შესაძლებელია ბევრი რაღაცის შეცვლა. კონკრეტულად, ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შემდეგ ინფრასტრუქტურის სამსახურმა ძალიან სწრაფად პრობლემების იდენტიფიცირება, ზარალის დადგენა, მომზადდა ტექნიკური დავალებებიც და ა.შ. თუმცა ვერ მივიღეთ იმაზე თანხმობა, მაგალითად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა მოგვეხდინა ერთ პირთან მოლაპარაკებით და წავედით ტენდერის გზით. მესმის, რომ გარკვეული კითხვები ერთ პირთან მოლაპარაკებების დროს არსებობს და ხშირ შემთხვევაში ეს შეკითხვები სამართლიანია, ხშირ შემთხვევაში უსამართლო, იმიტომ რომ სწორად უნდა მოხდეს გარკვევა და ანალიზი იმისა, რატომ დასჭირდა მუნიციპალიტეტს გარკვეული ხელშეკრულებების ერთ პირთან მოლაპარაკებით წასვლა. დავუბრუნდეთ სტიქიის საკითხს-მოვახდინეთ ყველაფრის იდენტიფიცირება და საპროექტო დოკუმენტაცია ტენდერზე გავიტანეთ. ტენდერზე გატანის შემდეგ (ტენდერის დასრულებას საკმაო ვადები სჭირდება) გაიმარჯვა საპროექტო კომპანიამ (მაგალითისთვის ახმეტიდან) იმ გამოცდილებით და მოთხოვნებით, რაც ქონდა დააკმაყოფილა ის მოთხოვნები, რაც მითითებული იყო ტენდერის პირობებში. ჩვენ არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნდა იმისა, რომ მასთან არ გაგვეფორმებინა ხელშეკრულება და დავიწყეთ საპროექტო მონაცემებზე მუშაობა. ამ საპროექტო დოკუმენტაციასთან მუშაობის პეროდში გარკვეული პრობლემები გაუჩნდა ობიექტს (გასათვალისწინებელია ასევე კომპანიის გეოგრაფიული სიშორე) კიდევ ჩამოწვა მეწყერი და ა.შ., ასევე კომპანიის წარმომაგენლების ჩამოსვლა ადგილზე პრობლემოს გასაცნობად, ისევ უკან დაბრუნება ამასაც დრო სჭირდება და შესაბამისად პროცესი იწელება. ამ მოცემულობით მივედით იქამდე, რომ იქნებ გავწყვიტოთ ხელშეკრულება აღნიშნულ კომპანაისთან და ახალი ტენდერი გამოვაცხადოთ. აქ უკვე სხვა პრობლემის წინაშე ვდგებით. ხელშეკრულების გაწყვეტის შემდეგ 10 დღიანი ვადა აუცილებლად უნდა დავიცვათ, რათა კომპანიას გასაჩივრების ვადა ქონდეს. თუ მოხდა გასაჩივრება, ჩათვალეთ რომ ჩიხში ვართ. თუ კომპანიამ არ გაასაჩივრა ტენდერი თავიდან უნდა გამოვაცხადოთ და ფაქტიურად პროცესი ისევ თავიდან იწყება.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „იყო პრობლემა ახალსოფლის ხიდთან დაკავშირებით და ახლა უკვე დარჩელში, კიროვის უბანში გვაქვს მსგავსი პრობლემა, შესაბამისად ასეთ „ფორსმაჟორული“ შემთხვევის დროს, რატომ არ გვაძლევს კანონი უფლებას მოლაპარაკება შედგეს ერთ პირთან, რომ ვადაში არ გაიწელოს.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „მოგეხსენებათ, არსებობს კანონი შესყიდვების შესახებ, რომელიც არეგულირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერ შესყიდვებს, სადაც გაწერილია, მუნიციპალიტეტს ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე აქვს უფლება ერთ პირთან მოლაპარაკებით განახორციელოს ნებისმიერ შესყიდვაზე, რომელიც არ აღემატება 5 000(ხუთიათასილარი) ლარს. რაც შეეხება სტიქიასთან დაკავშირებულ მოვლენებს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციების და შესასრულებელი სამუშაოები ვაწარმოოთ ერთ პირთან მოლაპარაკებით მსგავსი ჩანაწერი კანონში არ წერია. სტიქიასთან დაკავშირებით ყოველთვის გამოიცემა მთავრობის განკარგულება და ამ განკარგულებაში თუ ჩაწერილი იქნება კონკრეტული თანხა და ასევე ამ თანხით არამარტო პროექტირება, არამედ შესასრულებელი სამუშაოებიც ერთ პირთან მოლაპარაკებით ეს ხელფეხს გაგვიხსნიდა. ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია და ვითხოვეთ, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, დროის მოგების მიზნით გვქონოდა იმის შესაძლებლობა რომ შეგვესყიდა ერთ პირთან მოლაპარაკებით საპროექტო დოკუმენტაცია, მაგრამ ამაზე

მივიღეთ უარი. როდესაც კანონი არ გვაძლევს საშუალებას ჩვენ არ გვაქვს არანაირი სხვა ბერკეტი რომ განვახორციელოთ პროექტი და ამან გამოიწვიო ვადებში ცვლილება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ აღნიშნა: (სამსახურის უფროსმა გააგრძელა ანგარიშის პრეზენტაცია)

„ახლა პროექტის განხორციელების ციკლზე მინდა მოგახსენოთ. პრტყველი ნაბიჯი არის პრობლემის იდენტიფიცირება, მეორე ნაბიჯი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, მესამე ნაწილი-ფინანსების მოძიება და ბოლო არის უშუალოდ სამუშაოების შესრულება. 2022 წლის განმავლობაში ჯამში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გახარჯულიქნა 143 367 550(ასორმოცდასამიმილიონსამასსამოცდაშვიდიათასხუთასორმოცდაათილარი) ლარი. ამაში შედის როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიგან გამოყოფილი თანხა, ასევე საავტომობილი გზების დეპარტამეტიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ), სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ა.შ. ძირითადი მიმართულებებია ამ თანხიდან საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლების ეზოების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

საქართველოს მუნციპალური განვითარების ფონდის მიერ 2022 წელს გამოიყო 56 000 000(ორმოცდათექვსმეტიმილიონილარი) ლარი-პროექტები -ეს არის განახლებული რეგიონების ფარგლებში 6 000 000(ექვსიმილიონილარი) ლარი, რუხში საბავშვო ბაღის მშენებლობა 4 200 000(ოთხიმილიონორასიათასილარი) ლარი, ჭითაწყარში საბავშო ბაღის მშენებლობა 4 200 000(ოთხიმილიონორასიათასილარი) ლარი, შამგონაში საბავშვო ბაღის მშენებლობა 3 600 000(სამიმილიონსამასიათასილარი) ლარი, ზუგდიდი-რუხი-ახალაბსთუმანი დამაკავშირებელი გზა 3 300 000(სამიმილიონსამასიათასილარი) ლარი, დარჩელის საბავშვო ბაღის მშენებლობა 3 600 000(სამიმილიონსამასიათასილარი) ლარი, ზვ.გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკა 18 000 000(თვრამეტიმილიონილარი) ლარი და სპორტული კომპლექსის მშენებლობა 13 000 000(ცამეტიმილიონილარი) ლარი.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2022 წელს გამოყოფილიქნა 70 000 000(სამოცდაათიმილიონილარი) ლარზე მეტი. ძირითადი თანხები მოხმარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულასთან დამაკავშირებელ გზას-1 100 000(ერთიმილიონასიათასილარი) ლარი. ყულიშკარში მდ.ყულისწყლის სანაპიროს გამაგრებას 226 000(ორასოცდაექვსიათასილარი) ლარი, ანაკლიაში მდ. ენგურზე ნაპირსამაგრის მოწყობას 1 434 000(ერთიმილიონოთხასოცდათოთხმეტიათასილარი) ლარი, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზას 3 779 000(სამიმილიონშვიდასსამოცდაცხრამეტიათასილარი) ლარი, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზას 12 000 000(თორმეტიმილიონილარი) ლარი, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზას 10 688 000(ათიმილიონექვსასოთხმოცდარვაათასილარი) ლარი, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს დამაკავშირებელ გზას 19 892 000(ცხრამეტიმილიონრვაასოთხმოცდათორმეტილარი) ლარი და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელ გზას 21 000 000(ოცდაერთიმილიონილარი) ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები მიმდინარე პროცესშია.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შარშან განხორციელდა 4 247 000(ოთხიმილიონორასორმოცდაშვიდიატასილარი) ლარის სამუშაოები, ესენია სოფელ ყულიშკარის სკოლის რეაბილიტაცია 704 000(შვიდაოთხიათასილარი) ლარი, ქ.ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და ფასადის ნაწილის რეაბილიტაცია და ქ. ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ხელოვნურ

საფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობა 236 231 ლარი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო შენობის სამშენებლო სამუშაოები 1 489 793 ლარი, სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლის ფასადის სარეაბილიტაცია 107 009 ლარი, სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის სარეაბილიტაცია 837 873 ლარი, სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის, სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის, ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაცია 135 503 ლარი, ცაიშისა და ახალი აბასთუმანის საჯარო სკოლების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნების მშენებლობა 16 770 ლარი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობვა და შემოღობვა 136 696 ლარი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახურავის რეაბილიტაცია 239 589 ლარი, ქალაქ ზუგდიდის N5; N9. N11, სოფელ ორულუს საჯარო სკოლებში ოთახების და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაცია 143 150 ლარი.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დაიხარჯა 2 495 947 ლარი. კერძოდ, სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა 984 885 ლარი; ურთას, ცაიშისა და ცაცხვის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა - 288 888 ლარი; სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვა - 224 001 ლარი; ქალაქ ზუგდიდში ბარამიას ქუჩაზე დევნილთა დასახლების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები - 998 173 ლარი.

2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა საავტომობილო გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია. ასევე, შარშან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შედეგად განხორციელდა 4 პროექტი, კერძოდ, ოდიშში, საჯაბუოს უბანში ხიდის რეაბილიტაცია, ჭითაწყარში ბარამიას ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, დიდინეძში მდინარე ჯუმზე ახალი საავტომობილო ხიდის მოწყობა (მიმდინარე პროექტი), ჭაქვინჯში ტაბიძის ქუჩაზე გზის დამეწყრილი მონაკვეთის რეაბილიტაცია. რაც შეეხება ბარამიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემას, მის მიმდებარე ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობა ფაქტიურად დასრულებულია, გაკეთდება დახურული კოლექტორი და როგორც დევნილთა დასახლების, ასევე მიმდებარე ქუჩების სანიაღვრე არხები დაუერთდება ამ კოლექტორს და იმედი გვაქვს რომ ამ წელს აღმიფხვრილი იქნებს იქ არსებული პრობლება.

წყალმომარაგების კუთხით შარშან 3 პროექტი განხორციელდა: ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, ჭკადუაშში პაპავების უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები (III ეტაპი), ალერტკარში საკანკიოს უბანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. თუმცა ეს დიდ გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ტერიტორია 24 საათიან რეჟიმში უზრუნველყოფილია წყლით, მაგრამ სოფლებში ძალიან დიდი პრობლემა არის ამ მიმართლებით და აქაც მაქსიმალურად ვცდილობთ საპროექტო დოკუმენტაციების კუთხით ვიმუშაოთ წელს, ვინაიდან წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ტენდერები თითქმის 99%-ით უარყოფითი შედეგით სრულდება, იმდენად ვიწრო სპეციალობის სპეციალისტები სჭირდება, რომ ასეთი მცირე ტიპის ტენდერებზე მონაწილეობას არ იღებენ და ამ მიმართულებით ვფიქრობთ შევქმნათ ერთიანი ბაზა, რადგან კრიტიკული პრობლემები დგას წყალმომარაგების კუთხით და ერთიანი დიდი ტენდერი გამოვაცხადოთ, რათა ამ ადამიანებს, თუნდაც ფინანსური კუთხით მაინც გაუჩნდეთ დაინტერესება, მაგალითად 4-5 ლოკაციის წყალმომარაგების პროექტირება ერთად რომ გამოვაცხადოთ.

რაც შეეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობას. 2022 წელს რეაბილიტირდა 5 ეზო. წელს 4 ეზოს რეაბილიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის

მომაზადება დასრულებულია და ტენდერს გამოვაცხადებთ, როგორც კი გამოიცემა შესაბამისი განკარგულება და დარჩება მხოლოდ ერთი ეზო კომბინატში, რომლის ღირებულებაც არის 300 000 ლარის ღირებულების და მიდის მუშაობა ამ თანხების მოძიებისთვის.

სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში შარშან შეირჩა 73 პროექტი (ყველა პროექტი დასრულებულია). სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში გამოეყო 948 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოიყოფა 375 957 ლარი. რაც შეეხება წლევანდელ სოფლის მხარდაჭერის პროგრამას-მაისის ბოლო, ივნისის შუა რიცხვისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგარმის ყველა პროექტი დაპროექტებული იქნება. მოგახსენებთ სამოქალაქო ბიუჯეტზეც, სადაც საკმაოდ დიდი პრობლემა იდგა ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, იდეურად ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ მისი სიახლიდან გამომდინარე ბევრი რამე დახვეწას საჭიროებს. დავიწყეთ ამ პრობლემების შესწავლა. ვნახეთ მიზეზებიც- იმ თანხებში, რაც გამოყოფილი იყო ფიზიკურად ვერ გაკეთდებოდა, ან მაგალითად, პროექტის განხორციელების ადგილას გადის მაღალი ძაბვის ხაზი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „სამოქალაქო ბიუჯეტით შერჩეული პროექტების რეალიზება შეფასების გარეშე რანაირად დაუშვა შესაბამისმა კომისიამ.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „მოგახსენებთ, რომ იმ პროცესში არ ვიყავი ჩართული და დეტალები არ ვიცი. ზოგადად შემიძლია გითხრათ, რომ ძირითადად ამ პროექტების შერჩევის დროს იმათი მოლოდინი, ვინც ამ პროექტებს არჩევდა და ვინც იყო ინიციატორი პროექტის ქონდათ სურვილი წამოჭრილი პრობლემა (მაგ. მაღალი ძაბვის ხაზების ან ტრანსფორმატორის და ა.შ.) ადვილად მოგვარდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ახლა სამოქალაქო ბიუჯეტით შერჩეული ყველა პროექტები კომისიის მიერ შეფასებულია.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, პროექტი, რომელზედაც თქვენ საუბრობთ იყო ახალი და შეფასების კომისიას ჰქონდა გარკვეული ხარვეზი, მაგრამ ამის გამო ადამიანებს არ ვსჯით. შესაბამისად, 26 პროექტიდან 5 ვერ განხორციელდა. ამ 5 პროეტის ავტორებთან შედგა კომუნიკაცია და მათ შევთავაზეთ აღნიშნული პროქტების ლოკაციის შეცვლა (ამისთვის მათ გარკვეული დრო მიეცათ), რადგან დებულებით ერთი პროექტის ჩანაცვლება სხვა პროექტით შეუძლებელია. ზოგიერთმა პროექტის განხორცილებაზე უარი თქვა, ხოლო დანარჩენმა არ წარმოადგინა ალტერნატიული ადგილი და ამიტომ ამოღებულ იქნა პროეტქების სიიდან. მომავალში რომ იგივე ხარვეზი არ განმეორებულიყო მეტი ყურადღება გამახვილდა წინასწარი შერჩევის დროს ვერიფიკაციის პროცესზე და პროექტები, რომელიც შესაბამისი კომისიის მიერ წელს იქნება შერჩეული ყველა განხორციელდება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ აღნიშნა: (სამსახურის უფროსმა გააგრძელა ანგარიშის პრეზენტაცია)

„რაც შეეხება მიღწეულ შედეგებს: რებილიტირდა 14 კმ-მდე საავტომობილო გზა; წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილ იქნა 287 ოჯახი; რეაბილიტირდა 4580 გრძ.მ. სანიაღვრე არხი; კეთილმოეწყო 7 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შიდა ეზო; მომზადდა 32 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით 310 000 ლარი; დაიწყო 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;

რაც შეეხება არქიტექტურის გაყოფილებას-2022 წლის განმავლობაში განყოფილებამ მიიღო 334 განაცხადი, აქედან;

- მშენებლობის ნებართვები გაცემულია 168 (ასოთხმოცდაორი) ობიექტზე;
- დემონტაჟის ნებართვები გაცემულია 24 (ოცდაოთხი) ობიექტზე;
- მშენებლობის ვადა გაგრძელებულია 19 (ცხრამეტი) ობიექტზე;
- შეთანხმებულია 53 (ორმოცდაცამეტი) ობიექტი;
- მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია 62 (სამოცდაორი) ობიექტზე.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის ,,წითელი ხაზები“-ს დადგენილია 8 (რვა) ობიექტზე.
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 240 714.17 ლარს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ 14 უკანონო მშენებლობაა ქალაქში, მაინტერესებს ამ მშენებლობებზე თუ არის შემოსული თქვენთან ნებართვის გაცემის განცხადება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ აღნიშნა: „გარკვეულ სანებართვო დოკუმენტაციაზე შემოსული იყო განცხადებები. ამ მომენტისთვის არც ერთი არ არის განხილვაზე, რადგან ზოგი საჭიროებდა კულტურულ მემკვიდრეობასთან, ძეგლთა დაცვაში შეთანხმებას, ზოგს კი ჰქონდა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ხარვეზები, მათ შორის „წითელი ხაზების“ დადგენასთან. ამ წუთას მიმდინარე უკანონო მშენებლობის არც ერთი განცხადების განხილვა არ მიმდინარეობს.

რამოდენიმე სიტყვით მინდა მოგახსენოთ ასევე ქალაქის გენ-გეგმაზე. პირველი შეხვედრა ემსახურებოდა იმას, თუ რა პრობლემები დააყენა მუნიციპალიტეტმა გენგეგმასთან დაკავშირებით. ჩვენი ძირითადი მიზანი იყო თუ სად რა პრობლემებია, რა შეზღუდვებია და რა პრობლემის წინაშე დადგა მოსახლეობა. მეორე ეტაპი არის სამუშაო ჯგუფის შექმნა. სამუშაო ჯგუფში კონკრეტულად არქიტექტორები, საკრებულოს წევრები და შესაბამისი სფეროს სპეციალისტები იქნებიან მოწვეული და დეტალურად იქნება განხილული ზონალურად აღნიშნული გენ-გეგმა და მიიღება ერთობლივი შემუშავდება ტექნიკური დავალება. ამ ტექნიკური დავალების შემდეგ მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს ტენდერს და გენ-გეგმაში ცვლილებების პროექტირებას დაუკვეთავს საპროექტო ორგანიზაციას და ვფიქრობთ გენ-გეგმაში ერთ ცვლილებას შევიტანთ, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს დიდ პრობლემას ქალაქში გენ-გეგმის კუთხით.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: თუ რამდენი პროექტი შეირჩა და განხორციელდა 2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: 2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეირჩა 73 პროექტი, საიდანაც 68 პროექტი შესრულებულია, ხოლო დარჩენილი 5 პროექტი მიმდინარეა და მათ დასრულებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბულვარის გადასასვლელებზე მინდა მოგახსენოთ, ხომ შეიძლებოდა იქ სადაც მკვეთრი მოსახვევია ბილიკები ქვეითისთვის არ დახურულიყო, ასე უფრო კომფორტული იქნებოდა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „იქ, სადაც ბილიკია არ შეიძლება ყველგან გაიხსნას ქვეითად მოსიარულეთათვის გადასასვლელი.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „მაინტერესებს სოციალური დაუცველი ოჯახების, სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განმარტა: „სოციალურად დაუცველი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით ტენდერი 16 სახლზე ოთხ ლოტად გამოცხადდა და გამოვლენილია გამარჯვებული, გამომდინარე აქედან, თექვსმეტივე სახლი უპირობოდ აშენდება, ხოლო დარჩენილია სამი სახლი, რომელზედაც თანხები მოძიებულია, ტენდერი გამოცხადდება ერთ ლოტად. შესაბამისად, წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში 19 სახლი აშენდება, ამით დასრულდება ყველა ვალდებულება, რაც აღებული გვაქვს ამ მიმართულებით. მომავალში კი ასაშენებელი გვექნება 12 სახლი, აქედან 6 სახლზე ვალდებულება გვაქვს, ხოლო 6 სახლი კი შესარჩევია.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებით თუ არის რამე სიახლე.

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ განაცხადა: „სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებით ტენდერი მოიგო ჩინურმა კომპანიამ, რომელმაც გარკვეული მიზეზის გამო ვერ განახორციელა დასრულება,

გამომდინარე აქედან, მუნიციპალური განვითარების ფონდმა მას შეუწყვიტა ხელშეკრულება, შესაბამისად ისევ არის ტენდერი გამოცხადებული და ველოდებით შედეგებს.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ დამატებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

მომხრე: 7 (გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 3 (კახაბერ ჩანგელია, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია).

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“ ჩაითვალა მომზადებულად და შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია